სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 9 (4548) • 26 აპრილი • 2017 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

განათლების სამინისტროსა და მერიის თანამშრომლობა სანიმუშოა

გამოფენა ბოშური შტრიხებით

საქართველო ოდითგანვე გამოირჩეოდა ტოლერანტობით, ეროვნული უნცირესობების მიმართ შემწყნარებლობით. ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური კურსიდან

გამომდინარე, დიდი ყურადღება ექცევა ეროვნული უმცირესობების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათ კულტურულ ცხოვრებაში ჩართვას. მათ შორის – **ბოშების**, რომელთა რაოდენობა სულ 2500-მდეა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კომპაქტურად არიან ჩასახლებული.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს – ეროვნული

სასწავლო გეგმების დეპარტამენტი, ინკლუზიური განათლების განვითერების სამმართველო ახორციელებს პროექტს: **„სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამას“**, რომელიც ზრუნავს საგანმანათლებლო სივრცეში ბოშების მოზიდვასა და

მათ მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე. პროექტში ჩართულები არიან ბოშების თემატიკაზე მომუშავე საჯარო სკოლები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის მოხალისე სტუდენტები, ბაგა-ბაღები: 109-ე, 202-ე, 36-ე, 155-ე, 182-ე, 205-ე, **„ხუთკუნჭულა“** და **არაგვისპირის საბავშვო ბაღი**.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 8 აპრილს, თბილისის 109-ე ბაგა-ბაღში, ბოშათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება გაიმართა, რომლის ინიციატორები იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და არასამთავრობო ორგანიზაცია **„ბერილუსი“**. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო ბოშათა თემის ისტორიის, კულტურის, პრობლემატიკის გაცნობა და არსებული სტერეოტიპების რღვევა. შეხვედრას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი **ლელა ცქიტიშვილი**, ამავე უწყების ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსი **ნათია ჯოხაძე**, თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი **თემურ თორდინავა**, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს კოორდინატორი **კობა ჩოფლიანი**, ადამიანის უფლებათა დაცვის თემაზე კონსულტანტი **ნათია ფირაშვილი**, სტუდენტები, ისანში და სამგორში მცხოვრები ბოშები.

ღონისძიებაზე გამომსვლელებმა ვრცლად ისაუბრეს **„სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“** შესახებ და ითქვა, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა შეესაბამება სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციით გათვალისწინებულ ამოცანებს და ხელს უწყობს ბოშების მიმართ ტოლერანტულ და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული დამოკიდებულების შექმნას.

აღნიშნულ ღონისძიებზე სიტყვით გამოვიდა და პროექტის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა 205-ე ბაღის დირექტორმა **ია პატეიშვილმა**: „ჩვენ ორი თვის განმავლობაში ვემზადებოდით ამ ღონისძიებისთვის, რომელშიც დედაქალაქის ექვსი საბავშვო ბაღი ვიყავით ჩართული და ვიმუშავეთ კოორდინირებულად, დავამზადეთ ხელოვნების ნიმუშები. მოგეხსენებათ, თბილისში მცხოვრებ ბოშებს აქვთ ენის პრობლემა და აუცილებელია, მათ გავუღოთ საბავშვო ბაღის კარი, დავეხმაროთ სახელმწიფო ენის შესწავლაში და თუ კი ისწავლიან ქართულ ენას, ისინი აღარ იქნებიან ინფორმაციულ ვაკუუმში, ეცოდინებათ, რომ სკოლამდელი აღზრდის სისტემა არ არის თავშესაფარი და არის ძალიან განვითარებული როგორც კვების, ასევე, ინფრასტრუქტურის, აღმზრდელობითი და სასკოლო მზაობის მიმართულებით. ვფიქრობ, თუ ჩვენ მათ გვერდით დავუდგებით და ისინიც გულისყურით მოგვისმენენ, მაშინ აუცილებლად მოვლენ ბაღში, შეძლებენ ენობრივი ბარიერის გადალახვას და განვითარებას. ამგვარად, მოხდება მათი ადაპტირება სოციუმში და ინტეგრირება ქართულ საზოგადოებასთან“.

საინტერესო იყო გამოფენაც, რომელსაც ბოშური შტრიხები ამშვენებდა. ბაგა-ბაღების აღსაზრდელებმა და თანამშრომლებმა წარმოადგინეს ბოშურ

თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები: **ტრადიციული ტანსაცმელი**, **ნახატები**, **სუვენირები**, **საყოფაცხოვრებო ნივთები**, **მუსიკალური ინსტრუმენტები** და სხვადასხვა ხელნაკეთი მასალები. ასევე, გაიმართა კონცერტი,

სადაც ბავშვებმა ბოშური ცეკვები შეასრულეს.

ბოშათა დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, საკუთარი მოსაზრება გამოთქვა თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელმა **თემურ თორდინავამ**, რომელსაც შემდეგ რამდენიმე

კითხვით მივმართეთ.

თემურ თორდინავა: ბოშების დღისადმი გამართული ღონისძიება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ჩვენი თანამოქალაქეები არიან. ბოშები ცხოვრობენ მთელ საქართველოში და მათ შორის, თბილისშიც. ყველაზე მეტი კონტინგენტი კი, სამგორის და ისნის რაიონშია ჩასახლებული. **განათლების სამინისტროს** პროგრამის საფუძველზე გადაწყდა, რომ ბოშათა დღე 109-ე საბავშვო-ბაგა ბაღში აღნიშნულიყო. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ბოშების კულტურისა და ადათ-წესების გაცნობა. ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი ბოშათა თემის სოციალიზაციას და მათი ბავშვების ინტეგრაციას ბაგა-ბაღებში.

– *ბატონო თემურ, თქვენი საა-*

გაგრძელება მე-2 გვ.

პირველი გვერდიდან

გენტოს კოორდინირებული და ნაყოფიერი მუშაობის შედეგია ის, რომ თბილისში არსებული ბაგა-ბაღების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი კუთხით, ასევე, ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, დედაქალაქს შეემატა ახალი საბავშვო დაწესებულებები... საინტერესოა, კიდევ რამდენი ახალი ბაღის გახსნაა დაგეგმილი?

– ჩვენი სააგენტოს მიერ, 2016 წელს 7 ახალი ბაგა-ბაღი გაიხსნა და წელს სულ, 10 საბავშვო დაწესებულების დასრულებაა დაგეგმილი. სამომავლოდ კი, 8 ახალი ბაგა-ბაღი აშენდება.

– ***„სასკოლო მზაობის პროგრამა“ წარმატებით ხორციელდება და კვებაც დაბალანსებულია, რითაც კმაყოფილი არიან ბაღის მესვეურები და მშობლები. სამომავლოდ, რა რეფორმების განხორციელებაა გათვალისწინებული სააღმზრდელო მიმართულებით?***

– რეფორმები მუდმივად ხორციელდება სააგენტოს დაავტორიზაცია, რომლის პირობების დაკმაყოფილება მოუწევს როგორც საჯარო, ასევე, კერძო საბავშვო ბაღებს. ერთი სიტყვით, როგორც ტექნიკური რეგლამენტი ითვალისწინებს, რეფორმები გარდაუვალია როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე, სააღმზრდელო-მეთოდოლოგიური მიმართულებით.

ქვემდებარებულ ბაგა-ბაღებში. მოგეხსენებათ, რომ მიღებულია ადრეული, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების კანონი, რომელიც მოიცავს მთელი რიგი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებას, შესაბამისად, 2017 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყება

– ბაღის კადრების ტესტირებაც იგეგმება?

– ტესტირებები და კვალიფიკაციის კუთხით გადამზადებები, რა თქმა უნდა, მუდმივ რეჟიმში იწარმოებს და შესაბამისად, საქმის კურსში ჩავაყენებთ ყველა დაინტერესებულ პირს.

– პირფერობად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ვფიქრობ, სკოლამდელი აღზრდის სისტემას მშვენივრად უძღვებით... რა პროფესიის ბრძანდებით?

– პირველი პროფესიით ექიმი ვარ, შემდეგ კი დავამთავრე საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი **„ჯიპა“**. სკოლამდელი აღზრდის სისტემაში, ექსპერტად ყოველთვის მიწევდა მუშაობა როგორც საკანონმდებლო კუთხით, ასევე – კანონით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებაში.

– ბატონო თემურ, ჩვენ სისტემატურად ვაშუქებთ ბაგა-ბაღებში არსებულ მდგომარეობას. საინტერესოა, გაზეთ „სახალხო განათლება+“-ს თუ კითხულობთ?

– ჩვენ ვიღებთ „სახალხო განათლება+“-ს და რა თქმა უნდა, ვკითხულობთ.

* * *

ბოშათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილე ბაგა-ბაღებმა, მართლაც საზეიმო განწყობა შეუქმნეს მოწვეულ სტუმრებს. განსაკუთრებით ღირსეულად წარსდგნენ შემდეგი ბაგა-ბაღები: 202-ე, 36-ე, 182-ე, 205-ე, 156-ე, 109-ე და ,,ხუთკუნჭულა''.

ლალი ოთარაშვილი, 202-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: მიხარია, რომ ბოშათა ღონისძიებაში ვმონაწილეობთ. განათლების სამინისტროს ინიციატივას მივესალმები, რადგან ბოშა ბავშვების აღმზრდელობით და სასწავლო პროგრამებში ჩართვა აუცილებელია. ამ პროექტში ბაღების მონაწილეობა კი, **ლელა ცქიტიშვილის** ინიციატივა გახლავთ და ვთვლი, რომ სწორედ, საბავშვო ბაღებიდან უნდა დაიწყოს მათი ინტეგრაცია. გამოფენაზე, ჩვენმა ბაღმა კოსტუმირებული სანახაობა წარმოადგინა, რაშიც მთელი კოლექტივი იყო ჩართული. გამოფენილი ნივთები კი, ასახავდა ბოშათა ყოფა-ცხოვრებას.

მარინე მაჭარაშვილი, 36-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: ჩვენ დიდი სიხარულით შევუერთდით ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას და ამისთვის საგანგებოდ მოვემზადეთ. ბაგა-ბაღების სააგენტოს ფინანსური ხელშეწყობით კი, შევიძინეთ მასალები და საინტერესო ბოშური აქსესუარები შევქმენით. გამოფენაზე წარმოვადგინეთ მძივები, ბროშები, სუვენირები – ბორბალი და დროშა, რომელიც მოწვეულ სტუმრებს საჩუქრად გადავეცით.

ელენე თურმანიძე, 156-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: ჩვენმა აღსაზრდელებმა ბოშური ცეკვა შეასრულეს და სტუმრებსაც სასიამოვნო განწყობა შეუქმნეს. გამოფენაზე გამოტანილი გვქონდა გიტარა, მინიატურული ცხენი და ბოშური ატრიბუტიკა, მარაო, ტანსაცმელი და სუვენირები, რომელიც ჩვენმა აღსაზრდელებმა და თანამშრომლებმა შექმნეს.

მარიკა გონაშვილი, 182-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: წელს პირველად მივიღეთ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა და ჩვენმა თანამშრომლებმა თავდაუზოგავად იმუშავეს, რათა საინტერესო ნამუშევრები: ხელნაკეთი ნივთები, სურათის ჩარჩოები, ნახატები, სკივრები და სხვა ექსპონატები წარმოედგინათ. განსაკუთრებით იშრომეს ფსიქოლოგმა: **ლია ისაკაძემ**, სპეცპედაგოგმა **მაია მიქელაძემ**, მეთოდისტმა **მერი ალექსანდრიამ** და მუსიკის პედაგოგმა **ნატალია ქორიძემ**.

თამარ სირბილაძე, 109-ე ბაგა-ბაღის დირექტორი: სასიამოვნოა, რომ ჩვენი ბაღი მასპინძლობს განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას. ბაღში ორი ბოშა აღსაზრდელი გვყავს და ჩვენს რაიონშიც, მრავლად არიან კომპაქტურად ჩასახლებული ბოშები. სწორედ ამიტომ გადაწყდა აქ ღონისძიების გამართვა. **„სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“** ფარგლებში მოეწყო ბოშათა ისტორიის და ყოფა-ცხოვრების ამსახველი გამოფენა, სადაც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა.

იაგო მაისურაძე, ბაგა-ბაღ **„ხუთკუნჭულა“**-ს დირექტორი: ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა და მიხარია, რომ ვმონაწილეობთ. ბოშები ჩვენი საზოგადოების სრულფასოვანი წარმომადგენლები არიან. აუცილებელია მათი ინტეგრაცია და ენობრივი პრობლემის აღმოფხვრა. ბაღის თანამშრომლებმა და აღსაზრდელებმა ერთობლივად შექმნეს შთამბეჭდავი ნამუშევრები. გამოფენაზე წარმოვადგინეთ: თოჯინები, ჩარდახი და საყოფაცხოვრებო ნივთები.

ასე რომ, მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ ბოშურ კულტურას, მოესმინათ მუსიკა, ეხილათ ცუგრუმელების შემოქმედება და დაეთვალიერებინათ გამოფენა, რომელსაც ბოშური შტრიხები ამშვენებდა.

მზია გოგოძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონში

აქ მთავარია ილიას სამი ცნება: „ენა, მამული, სარწმუნოება“

„მართლმადიდებელი მამაო, მირიან სამხარაძე და მისი მეუღლე **ნანა ანთაძე**, წარსულში მუსულმანი ქალბატონი, ერთად უძღვებიან კერძო სკოლას, რომელიც ორიენტირებულია ტრადიციებსა და ეროვნულ ხელოვნებაზე“ – ასე წერდა, რამოდენიმე ხნის წინ, ფრანგული პრესა, წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის შესახებ, რომელიც თბილისში, ლოტკინის გორაზე მდებარეობს.

ამ სკოლა-პანსიონს, რომელმაც თავის წიაღში შემოიკრიბა, სრულიად საქართველოს შვილები, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, არსებობის არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს. ის 9 წლის წინათ დაარსდა, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის **ილია მეორის** ლოცვა-კურთხევით.

სკოლა-პანსიონმა, უკვე მეორედ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია. ეს გახლავთ **პირველი სახელობო და სახელოვნებო სასწავლებელი**, სადაც სწავლობს 550-მდე მოსწავლე. მათ შორის მუსიკისა და მხატვრობის ნიჭის მქონე 112 მოსწავლე: **ზემო აჭარიდან, ჰერეთიდან, ტაო-კლარჯეთიდან,** საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან – სარგებლობს სადღეღამისო პანსიონური მომსახურებით.

სკოლა-პანსიონის შექმნის იდეა ეკუთვნის დეკანოზ **მირიან სამხარაძეს** და მის მეუღლეს **ციცინო (ნანა) ანთაძეს**, რომლებიც წლების განმავლობაში მოღვაწეობდნენ ზემომთიან აჭარაში, კერძოდ, **ხულოს** რაიონში. ისინი ძალიან კარგად იცნობდნენ იმ პრობლემებს, რაც საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არსებობდა.საქართველოს საპატრიარქო დაინტერესდა აღნიშნული პროექტით და უამრავი სიძნელეების მიუხედავად, მათ შექმნეს ისეთი სააღმზრდელო დაწესებულება, რომელზეც მისი უწმინდესობა ილია მეორე ამბობს: **„მე ბედნიერი ვარ, რომ გვყავს ისეთი ახალგაზრდობა, ასეთი მომავალი შექმნა ორმა ადამიანმა, მამა მირიანმა და ქალბატონმა ნანამ და უნდა ითქვას, რომ ეს არის სამაგალითო სხვა სკოლებისათვის“.**

სკოლა-პანსიონს დეკანოზი **მირიან სამხარაძე** ხელმძღვანელობს, რომელიც განათლების სფეროს დიდი გამოცდილების მქონე პიროვნებაა. ძნელად თუ შეხვდები ასეთ მუხლჩაუხრელად მოფუსფუსე ადამიანს, რომელსაც ყურადღების მიღმა არ რჩება უბრალო ნიუანსიც კი. მამაო კარგად იცნობს ყველა მოსწავლის პრობლემას და დღენიადაგ ზრუნავს მის გადასაჭრელად. წარმოუდგენელია მამა მირიანის ღვაწლი მეუღლის **ნანა ანთაძის** გარეშე, რომლის დედური მზრუნველობის მიღმა არ რჩება დიდი თუ პატარა. ამიტომაცაა რომ ყველა სიყვარულით **„დედაოთი“** მიმართავს. ქალბატონი ნანა ამავდროულად სკოლა-პანსიონის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელია და საქართველოს საპატრიარქომაც დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა – ხელმძღვანელობს **მუსულმან ქართველებთან** ურთიერთობის განყოფილებას.

სკოლა-პანსიონის მისიაა მოსწავლეებს მისცეს მრავალმხრივი განათლება, აღზარდოს ისინი ეროვნული, ტოლერანტული, კულტურულ-მემკვიდრეობითი, ტრადიციული ღირებულებების შესაბამისად. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს განუვითაროს მუსიკალური, ხალხური რეწვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობებისათვის აუცილებელი საგანმანათლებლო უნარ-ჩვევები, მოახდინოს მუსულმან და ქრისტიან ბავშვთა თანაცხოვრება.

სკოლა-პანსიონში დღითი დღე იზრდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე დონეზე კეთილმოეწყო და აღიჭურვა **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია**, განახლდა **ბიბლიოთეკა**, შეივსო **ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი** და მოეწყო სამკითხველო დარბაზი. განახლდა **სპორტულიდა საკონფერენციო დარბაზი**, ჩვენი სტუმრობის პერიოდში **თეატრალური დარბაზის** მოწყობის პროექტზე იყო მუშაობა გაშლილი, გაზაფხულია და ეზოში ბაღების კეთილმოწყობაში მთელი სკოლა იყო ჩართული, უსაქმოდ ვერავის ნახავდით. მამაო პირველი აძლევდა ყველას მაგალითს.

ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლების, მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და მაღალ პროფესიონალიზმზეა ორიენტირებული სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, რომელსაც, დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგი, მენეჯერი ზოგადი განათლების დარგში, ქალბატონი **მაყვალა ანთაძე** ხელმძღვანელობს. სკოლაში დღეისათვის მუშაობს 18 უფროსი მასწავლებელი, გააქტიურებულია საგნობრივი კათედრების საქმიანობა, დაწყებითი განათლების კათედრის ხელმძღვანელია – **მაია ხორბალაძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრისა – **ზურაბ გოგოლაძე**, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრისა – **ნინო გაგოშიძე**, ქართული ენისა და ლიტერატურისა – **თამარ მიქავა**, სპორტისა და ესთეტიკური საგნებისა – **ლელა ხომასურიძე**, უცხოური ენებისა – **მზიური კოჩალიძე** და მათემატიკისა – **შორენა ოქრიაშვილი**. სკოლაში მიმდინარეობს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა. სკოლის დირექციისა და პედაგოგთა ერთობლივმა ღვაწლმა შედეგი გამოიღო და დღეს სკოლაში 250-

მდე წარჩინებული მოსწავლეა. არც ერთი მოსწავლის წარმატება არ რჩება თვალსაჩინო აღიარების გარეშე. სკოლამ უკვე მესამედ გამოუშვა კურსდამთავრებულნი, რომელნიც წარმატებით სწავლობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

გამორჩეულია სკოლა-პანსიონში განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტები და ჩატარებული ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეების ინტელექტუალურიდა ფიზიკური უნარების განვითარებაზე. ბავშვები ჩაბმულნი არიან სხვადასხვა წრეობრივ და კლუბურ საქმიანობაში. კლასგარეშე მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმით: **დისკუსიები**, **ვიქტორინები**, **სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები**, **ლაშქრობები**, **კონფერენციები**, **კვირეულები**, წლის განმავლობაში განხორციელდა მრავალი საინტერესო აქტივობა, როგორიცაა **„შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან“**, **„ვმეგობრობთ თეატრთან“**, **„დღე მუზეუმში“**, **„რა, სად, როდის?“**, **„მოგზაურობა წიგნის სამყაროში“** (კლასგარეშე მუშაობის კოორდინატორია – **რუსუდან რევაზიშვილი**).

სისტემატურად იმართება სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობები, ფუნქციონირებენ სპორტული წრეები, მათ შორის ქართული ტრადიციული ორთაბრძოლის **ხრიდოლის** წრე. მოსწავლეები აქტიურად და წარმატებულად მონაწილეობენ რეს-პუბლიკურ ოლიმპიადებში, კონკურსებსა და კონფერენციებში, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეროვნული, პატრიოტული

გაგრძელება მე-4 გვ.

მე-3 გვერდიდან

სული სდევს ყველა ჩატარებულ ღონისძიებას. ტრადიციულად, **9 აპრილს** თავისუფლების მოე-

დანზე, პარლამენტის წინ მემორიალთან მოსწავლეები პატივს მიაგებენ დაღუპულთა ხსოვნას. **24 თებერვალს** კი კოჯორში, **იუნკერთა** მემორიალთან იმართება სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნის პატივგება. **31 მარტს** მთაწმინდაზე რეფერენდუმისდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** ხსოვნა აღინიშნება. **13 ოქტომბერს** კი **ბორითში მერაბ კოსტავას** მემორიალთან იკრიბებიან.

ტრადიციული შემოდგომის ზეიმი უკვე 5 წელია ყოველი წლის შემოდგომაზე „**თბილისობის**“ დღეებში იმართება. ამ დღეს სკოლა-პანსიონის დიდ ფართო ეზოში სრულიად საქართველო იკრიბება, მოსწავლეები, პედაგოგები, მოსწავლეთა მშობლებიდა სხვადასხვა სტუმრები. თითოეული კლასი წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, მათ ეთნოგრაფიას და ფოლკლორს. წელს საფრანგეთისა და თურქეთის საელჩოებიც სტუმრობდნენ.

აქ მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. პროფესიული განათლების მენეჯერია **კახაბერ ვარდუკაძე**. სტუდენტები და მოსწავლეები ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიებს, დიდი ეროვნული საქმე კეთდება. მოსწავლეები დაუბრუნდებიან მშობლიურ კერებს და ააღორძინებენ მივიწყებულ ხელობებს. კეთილმოწყობილსახელოსნოებში ყოველდღიური ფუსფუსია. **ხის მხატვრული დამუშავება** (პედაგოგი **გია ალუღიშვილი**), **მინანქრის** (პედაგოგი – **იოსებ ზანგალაძე**), **თექისა** და **ბატიკის** დამუშავება (პედაგოგი **ანა მაისურაძე**), **ტანსაცმლის მოდელირება** (პედაგოგი **რუსუდან არჯევანიძე**). მიმდინარე წელს გაიხსნა **მეაბრეშუმეობის წრე**. ეს ის ძირძველი, ტრადიციული ქართულიხელობებია, რომლებიც ისწავლება სკოლა-პანსიონში.

უკვე რამოდენიმე წელია საქართველოში არ ჩატარებულა თითქმის არც ერთი გამოფენა, სადაც თვალსაჩინო ადგილზე არ ყოფილიყო წარმოდგენილი სკოლა-პანსიონის სტუდენტთა და მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებსაც ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავს მნახველი.

ხელოვნება სკოლა-პანსიონის ერთ-ერთი მიმართულებაა (სახელოვნებო მიმართულების ხელმძღვანელი **თამილა ფოლადიშვილი**) მოსწავლეები გაერთიანებულნი არიან სხვადასხვა წრეებსა და ჯგუფებში. ფუნქციონირებს ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი **„არსიანი“** (ხელმძღვანელი **დავით შანიძე**), ხალხურ საკრავთა ჯგუფი **„არსიანი“** (ხელმძღვანელები **მალხაზ ქოიავა** და **ალეკო ხიზანიშვილი**), გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი **„არსიანი“** (ხელმძღვანელი **დალი დაბრუნდაშვილი**), ყველა ეს ანსამბლები საერთაშორისო ფესტივალებისდა კონკურსების ლაურეატები და დიპლომანტები არიან. ხშირად იმართება მათი შემოქმედებითი საღამოები, სკოლა-პანსიონში მიმდინარეობს საფორტეპიანო და ვიოლინოს კლასების მეცადინეობა, რომლებსაც მაღალკვალიფი-

ციური სპეციალისტები ასწავლიან (**ლიალია ბალანჩივაძე**, **შორენა ებრალიძე**, **ეკა სანაძე**, **ლია სონღულაშვილი** და **ლელა ქუმსიაშვილი**), მოსწავლეები წარმატებულად მონაწილეობენ სხვადასხვა პრესტიჟულ საღამოებსა და კონკურსებში. სკოლაში ფუნქციონირებს **ფერწერის სტუდია** (ხელმძღვანელი **გაიოზ ზანდარაშვილი**). სკოლა-პანსიონის კედლებს ამშვენებს მოსწავლეთა ფერწერული

ტილოები, შორს გაითქვა სახელი ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა **„არსიანმა“** (ხელმძღვანელი **ჯონი დუგლაძე**).

ტოლერანტული თანაცხოვრების დიდი მაგალითია პანსიონური მომსახურება (კოორდინატორი **ნინო ცეცხლაძე**). აქ 112 მოსწავლე ცხოვრობს. თანაცხოვრობენ მუსულმანი და ქრისტიანი ქართველი ბავშვები. არასოდეს მათ შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე არავითარი უთანხმოება არ მომხდარა. ეს არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ დღევანდელ კონფლიქტურ მსოფლიოში, როგორ შეიძლება მშვიდობიანი თანაარსებობა. ყველაფერი ეს კი ჩვენი პატრიარქის დიდი სიბრძნისა და სიყვარულის შედეგია.

სკოლა-პანსიონი მოსწავლეს და მშობელს ბევრ სერვისს სთავაზობს: მოსწავლეებს ემსახურება გამართული **მიკროავტობუსები**, კეთილმოწყობილი **სატრაპეზო**, უგემრიელესი კერძებით და რაც მთავარია, აქ სიყვარული სუფევს. მთელი კოლექტივი მოსწავლეზეა ორიენტირებული.

წარმატებები სკოლა-პანსიონის დირექციის დაუღალავი შრომის და თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობის გათავისების შედეგია. ფინანსური მენეჯერი **ჯამბულ გოგოლაძე**, მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის უფროსი **ჯიმშერ არძენაძე**, განათლების ხარისხის სამსახურის უფროსი **მარინე გოგოლაძე** და თითოეული პედაგოგის ღვაწლია.

სკოლა-პანსიონი ამაყობს იმ კურსდამთავრებულებით, რომელთაც აქ მიიღეს განათლება და ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებელში. ესენი არიან: **მარიამ ალთუნაშვილი**, **ქეთევან სამხარაძე**, **თათა ნებიერიძე**, **მედეა** და **ირმა სურმანიძეები**, **ბაჩანა ბოლქვაძე**, **თამარ კაჭახმაძე**, **ნანა ცეცხლაძე**, **ლანა გორგილაძე**, **მიხეილ ირემაძე**, **გიგა ყაფლანიშვილი**, **საბა** და **შორენა ამანათაშვილები**, **დავით ავლოხაშვილი** და სხვები.

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში წარმატებულად სწავლობენ აქ ხატვის წრეში მონაწილე ყოფილი მოსწავლეები: **იაგო ნიკოლაძე** და **არმაზ სარაჯიშვილი**.

სკოლა-პანსიონის ლიტერატურულმა თეატრმა პრემიერა **ო. ჰენსის** პიესა **„უკანასკნელი ფოთოლი“** (რეჟისორი **კობა სხილაძე**) წარმატებულად წარმოადგინა თბილსიის „**ათონელის**“ თეატრის სცენაზე. ამ დღეებში 20-22 აპრილს სკოლა-პანსიონის ხელმძღვანელობა და მოსწავლეები მონაწილეობდნენ **ზუგდიდისა** და **ცაიშის** ეპარქიის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის ყოველწლიურ სააღდგომო ფესტივალში.

წერილი დასაბეჭდად თითქმის მზად იყო, როდესაც სკოლაში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან სკოლა-პანსიონის დირექციისა და პედაგოგიური საბჭოს სახელზე სამადლობელო დიპლომი მოვიდა. სადაც საუბარი იყო კურსდამთავრებულ **თამარ სამხარაძეზე**, რომელმაც გასულ წელს ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა-პანსიონი და დღეს ამ უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტია. ყველამ ერთად გავიხარეთ...

გაივლის წლები, სკოლა-პანსიონი კიდევ უფრო გაძლიერდება და ტოლერანტობის ცენტრად გადაიქცევა. კვლავ ერთად მშვიდობიანად იცხოვრებენ სხვადასხვა რელიგიის ბავშვები, რომელთა საფიცარიც დედა სამშობლო იქნება. ისინი თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან დიდი ილიას ნაანდერძევს: **„მამულს, ენას და სარწმუნოებას“**.

გაზეთის ამ ნომრის გამოქვეყნებიდან ერთი თვის თავზე, **26 მაისს** სკოლა-პანსიონი ცნობილი პატრიოტის, ეროვნული გმირისა და პოლიტიკოსის **მერაბ კოსტავა-სადმი** მიძღვნილ ზეიმში მიიღებს აქტიურ მონაწილეობას. **ღონისძიება ჩატარდება მ. კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმსა და „სახალხო განათლება+“-ის რედაქციის ეზოში.**

ჩვენ კი, **ამ გაზეთის სარედაქციო კოლეგია ვუსურვებთ სკოლა-პანსიონს შემდგომ წარმატებებს მისთვის და ჩვენთვის სასიხარულო საქმიანობაში.**

რომან მოსეშვილი

ШЕМО�ქМЕДЕБИТИ УНАР-ЧВЕВЕБИС ГАНМАВИТАРЕБЕЛИ ღОНИСЧИЕБА ТБИЛИСИС 207-Е САЖАРО СКОЛАШИ

АСЕ ШЕЖАМДА ПРОЕКТИС ШЕДЕГЕБИ

დედაქალაქის მერიის განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დაფინანსებითა და მხარდაჭერით ქალაქ თბილისის **207-ე საჯარო სკოლაში** არაერთი ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი

განხორციელდა. ეს სკოლა ერთ-ერთი სახელოვანი, გამორჩეული სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც მდიდარია თავისი ტრადიციებით და განათლების მაღალი დონით. ბოლო წლებში, სკოლამ დიდ წინსვლას და თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. პროფესიონალი პედაგოგიური კოლექტივის

წყალობით, აქ მუდამ ჯანსაღი ატმოსფეროა და პოზიტიური განწყობა სუფევს. მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში და ოლიმპიადებში, საიდანაც გამაჯვებულები და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან.

სასკოლო საქმიანობას წარმართავს გამობრძმედილი, შემოქმედი დირექტორი **ზურაბ ჩხაიძე**. ბატონი ზურაბი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სკოლა იყოს მოწოდების სიმაღლეზე და მაღალ შედეგებზე ორიენტირებული. „ჩვენ, მთელი კოლექტივი ერთ გუნდად ვართ შეკრული და ძალღონეს არ ვიშურებთ იმისთვის, რომ ღირსეული, განათლებული და თავისუფალი მოქალაქეები აღვუზარდოთ ქვეყანას“, – აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში.

„ინტელექტუალური სკოლა‘‘ – ასე ეწოდება პროექტს, რომელიც 207-ე სკოლაში წარმატებით განხორციელდა. ახალი ინიციატივის ფარგლებში, სკოლაში შეიქმნა თემატური კლუბები. პროექტის მთავარი მიზანია, სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება და სამოქალაქო აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში აკადემიური, სოციალური და ფსიქოლოგიური, ასევე შემოქმედებითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

ახლახან, სკოლის სააქტო დარბაზში აღნიშნული პროექტის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც პროექტის მონაწილე მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან ერთად საპატიო სტუმრებიც ესწრებოდნენ.

პრეზენტაციას უძღვებოდა სკოლის დირექტორის მოადგილე, პროექტის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ჩინებული პედაგოგი **ნანა მიქავა**. ქალბატონმა ნანამ ვრცლად ისაუბრა პროექტის აქტუალურობის შესახებ და სპეციალურად შექმნილი ბლოგის საშუალებით მოკლედ შეაჯამა განხორციელებული აქტივობები.

ნანა მიქავა – ***პროექტი აგებულია არაფორმალური განათლების პრინციპებზე და მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს. თემატური კლუბების ფუნქციონირება სკოლაში ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს, განვითარების ამ ეტაპზე, მრავალფეროვანი ინტერესები აქვთ. საგაკვეთილო პროცესი სრულადვერუზრუნველყოფს ყველა ამ ინტერესის დაკმაყოფილებასა და გამოვლენას. სასკოლო კლუბებში მონაწილეობა შესანიშნავი საშუალებაა მოზარდისთვის, ჩაერთოს და დაკავდეს მისთვის საინტერესო აქტივობით. სხვა-***

დასხვა საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული თუ საზოგადოებრივი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება ზრდის მოტივაციას და აძლევს მოსწავლეს დამატებით სტიმულს ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში.

კლუბების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები განხორციელდა მოსწავლეთა თვითმმართველობასთან თანამშრომლობით და მასში ჩართული იყვნენ, როგორც აქტიური, ინიციატივით სავსე და მიზანდასახული, ასევე ნაკლებადმოტივირებული და პასიური მოსწავლეები.

შემოქმედებითი კლუბის მიერ გამართული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია, პოეზიის საღამო სახელწოდებით: **„ჭაბუკები დარჩნენ მარად‘‘**, ფოლკლორის საღამო **„ლექსო ამოგთქომ“** და საქველმოქმედო საღამო **„სიკეთე გადამდებია“**; შთამბეჭდავი იყო **„წიგნიერი თაობის“** მიერ გამართული ღონისძიება **„შენი თაობის არჩევანი – გირჩევ წაიკითხო!“**, **„ინტელექტუალური“** და **„მუსიკალური“** ვიქტორინები. პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა ლიტერატურული საღამო **„პოეტური სიტყვა“**; მშობლიური სკოლის ეზოში გაიმართა ფლეშ-მობი **„მე ვკითხულობ, შენ – ?“**, მოეწყო მოსწავლეთა ნახატების გამოფენა; ბენეფიციარებს ჰქონდათ ვიზიტები თეატრში, კინოში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში. სკოლის ბიბლიოთეკაში შედგა ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული კინოფილმების ჩვენება-განხილვა და ასე შემდეგ.

პრეზენტაციაზე ასევე ნაჩვენები იყო **„საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კლუბი‘‘**-ს საქმიანობის ამსახველი კადრები. კლუბის წევრების ინიციატივით **„გარემოსდამცველებმა“** აქციის ფორმატში დაარიგეს **„მწვანე საჩუქარი“** – საინფორმაციო ბროშურები გარემოს დაცვითი ღონისძიებების აუცილებლობისა და მათი მნიშვნელობის შესახებ. პროექტის ყველაზე პატარა მონაწილეებმა კი ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის წარმოადგინეს კოსტუმირებული წარმოდგენა **„რა ღირს ცოცხალი ბუნება“**; საინტერესო იყო აქტივობა სახალისო მედიცინაში – **„ექიმებმა“** მულაჟზე ჩაატარეს სიმულაციური ქირურგიული ოპერაცია საგანგებო ვითარებაში სხეულის დაზიანებისას შესაბამისი გადაუდებელი დახმარების წესების გამოყენებით. სიმულაციური სასამართლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეებმა

ასევე გაასამართლეს **„დამნაშავე ყინვა“**. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლის ტერიტორიაზე მოეწყო დასუფთავების აქციაც. **„სუფთა სამყაროს“** წარმომადგენლებმა კი ზეპირი პრეზენტაციებით პროპაგანდა გაუწიეს მოსწავლეებში ჰიგიენის წესების დაცვას. პროექტის ბენეფიციარებისთვის ასევე ჩატარდა ლექცია-გაკვეთილი **„როგორ დავიცვათ თავი სისხლით გადამდები ვირუსული დაავადებებისგან –ადამიანის იმუნო ვირუსი (აივ) და ჰეპატიტი“**. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბის ფარგლებში გაიმართა სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიები, ინტელექტუალური კონკურსები და სხვა.

პროექტი **„ინტელექტუალური სკოლა“** გამორჩეული იყო სპორტული აქტივობითაც. ბენეფიციარებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის მიზნით, ჩატარდა ლექცია-პრეზენტაცია თემაზე **„ცხოვრების ჯანსაღი წესი – არსი და პრინციპები“**, მოეწყო სპორტული შეჯიბრებები, მათ შორის **„მხიარული სტარტები“**, სასკოლო ტურნირი ფრენბურთში და სხვა. **„სპორტული კლუბის“** ინიციატივით მოეწყო ექსკურსიები სპორტის მუზეუმში, სადაც მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება შეხვედრის ფორმატში ახლოდან გაცნობოდნენ სახელოვან მოჭადრაკეებს **ნანა იოსელიანს** და **ზურაბ აზმაიფარაშვილს**; **„ჩვენ ვულოცავთ“** რუბრიკის ფარგლებში, ბავშვებმა საკუთარი ხელით დამზადებული სიმბოლური საჩუქრებით იუბილე მიულოცეს ქართველ სპორტსმენებს.

„პრესცენტრის“ წევრები სისტემატურად აშუქებდნენ კლუბების მუშაობის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს და ახდენდნენ არსებული ინფორმაციის ფოტო, აუდიო, ვიდეო მასალის სახით ორგანიზებას. აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა პროექტის ფარგლებში შექმნილ საინფორმაციო ბლოგზე -http://inteleqtyaluriskola207.blogspot.com

შემაჯამებელ ღონისძიებაზე, პროექტში მონაწილე მოსწავლეებსა და პედაგოგებს გადაეცათ მადლობის ბარათები და სიგელები.

მოწვეულმა სტუმრებმა დადებითად შეაფასეს სკოლის საქმიანობა და აღნიშნეს, რომ პროექტის წარმატებით განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის როგორც მონაწილეებს, ასევე, მის ორგანიზატორს ქალბატონ **ნანა მიქავას**.

სკოლის დირექცია და პროექტის მონაწილეები მადლობას უხდიან **მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის.**

მზია გოგოძე

ასეც ხდება: მასალის სიუხვე ერთგვარად გაჭოჭმანებს – გიჭირს გადაწყვეტა, რით დაიწყო. აი, თბილისის მერიის ხელოვნების 21-ე სკოლაში კი ცხადზე უცხადესი იყო, საიდანაც უნდა დამეწყო – დირექტორის, ღირსების ორდენის კავალერის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ქალბატონ **ნანა ჯოლიას** კაბინეტიდან. სკოლის საკონცერტო აფიშებითა და უამრავი დიპლომ-სიგელით მოფენილი კედლების შემხედვარე აქედან ფეხგაუდგმელადაც დარწმუნდებოდი სკოლის, მართლაც რომ, დიდ წარმატებებში.

ყველას რა ჩამოთვლის, ამიტომ რამდენიმეს „მოვიხმობ“

საანგარიშო კონცერტები: ხელოვნების მუშაკთა სახლში; ე. მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟორი – **რევაზ ტაკიძე**); ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში...

გურჯაანის მუსიკის სკოლების გაერთიანებისა და 21-ე სკოლის საფორტეპიანო მუსიკის ერთობლივი კონცერტი, მიძღვნილი **გია ყანჩელის** საიუბილეო წლისადმი; VI კლასის მოსწავლის **გვანცა ფუტკარაძის** კონცერტი, მიძღვნილი **მოცარტის** დაბადების 250-ე წლისთავისადმი (პედაგოგი – **მ. ვახტანგიშვილი**, დირიჟორი – **რ. ტაკიძე**); V კლასის მოსწავლის **ასლან ჩიქოვანის** კონცერტი ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დარბაზში; მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, სკოლის მგალობელთა კონცერტები; ლექცია-კონცერტები...

ახლა – დიპლომ-სიგელები: თბილისის მერიისა და საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის – სააღდგომო ფესტივალ **„ერის საგანძურში“** წარმატებული მონაწილეობისათვის; საქართველოს ხელოვანთა კავშირის – **„ხელოვანები – მომავლისათვისაში“** – ფესტივალ **„მომავლის ვარსკვლავები – 2012“** გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და წარმატებული მონაწილეობისათვის; საქართველოს პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, ლაურეატის წოდებითა და პრიზითურთ საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისთვის კლასიკური მუსიკის ბავშვთა და მოზარდთა IV რესპუბლიკურ ფესტივალში – **„იპოვე შენი ვარსკვლავი“** (ასეთი ჯილდო ოთხი დავითვალე) სკოლის ხალხური სიმღერებისა და მგალობელთა გუნდს (პედაგოგი – **ნადეჟდა ხურციძე**) და მთელ სკოლასაც; მერიისა – ფესტივალ **„XX საუკუნის მუსიკაში“** მიღწეული წარმატებებისათვის; სამგორის რაიონის გამგეობისა – **ნანა ჯოლიას** აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის...

21-ე სკოლის მრავალი დიდი წარმატების ნათელსაყოფად ეს მცირე ჩამონათვალიც იკმარებდა, მაგრამ ქალაქის მერია, ვის მუდმივ ზრუნვა და თანადგომასაც სკოლა მუდმივად განიცდის – ნებისმიერი საკითხი, პრობლემა ოპერატიულად და ხარისხიანად გვარდებაო – ნიჭიერთაგან გამორჩეულად ნიჭიერებს აფინანსებს (ფორტეპიანოს კლასი): **ცირა ნებიერიძეს** (VIII კლ.), **ნუცა მოდებაძეს** (V), **ანა კუპრაძეს** (VIII), **დაჩი** და **მედეა ჭოტაშვილებს** (IV-III), **ლიზი გაბუნიას** (III), **ქეთევან გაგიშვილს** (V), **ტარიელ ხაჩიძეს** (V), **მარიამ ჯიშკარიანს** (IX), **ლიანა ბაწაშვილს** (IV), **მარიამ ბახტაძეს** (VII),**ბარბარე კენკებაშვილს** (V); ვიოლინოს კლასი – **ქეთი გაბუნიას** (III), **კესარია ქორელაშვილს** (IX), **ნათია ქობულაშვილს** (X); საესტრადო სიმღერა – **თეკლა ჩიხლაძეს** (II).

მოგეხსენებათ, კარგ მასალას სათანადო ოსტატი სჭირდება. სწორედ ასეთნი არიან პედაგოგები: **მარინე ვარდოშვილი, ნინა მუშკუდიანი, ლელა დაუშვილი, მაყვალა ვახტანგიშვილი, სოფიო ჩაგანავა** (ფორტეპიანო), **ოლღა ვართანოვი** (ვიოლინო), **მარინე სხირტლაძე** (საესტრადო). სწორედ მათი შემოქმედებითი, თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რომ ყმაწვილებმა მერიის დაფინანსება მოიპოვეს.

21-ე სკოლაში მიაჩნიათ, რომ მუსიკის, მისი დიდებულების, სიმშვენიერისა და იდუმალების წვდომის გარეშე მოქალაქის, მოყვასის მოყვარული პიროვნების ჩამოყალიბება ძალზე ძნელია. ამიტომ სრულად აქვთ შეგნებული თავისი მაღალი მოვალეობა და, ზემოჩამოთვლილ კოლეგებთან ერთად, საამისოდ იღვწიან **ფორტეპიანოს**, **გიტარის**, **ქართული ხალხური სიმღერისა** და **ხალხურ საკრავთა,** თეორიული საგნების პედაგოგები: **მანონ ბურჯანაძე**, **გულნარა თოთაძე**, **მედეა მაჭარაშვილი**, **ლალი მირიანაშვილი**, **ვიოლეტა რაზმაძე**, **ნანი სამხარაძე**, **ნინო სამუკაშვილი**, **ხათუნა ნიკვაშვილი**, **ჯუმბერ ამანათაშვილი**.

სკოლაში 5 განყოფილებაა: **ფორტეპიანოსი**, აქ საკონსულტაციო კომისიაა შექმნილი. იგი კონსულტაციებს უწევს პედაგოგებსა და მოსწავლეებს; საორკესტრო-სიმებიანი საკრავებისა – **ვიოლინოს კლასი** (პედაგოგი – **ოლღა ვართანოვი**, კონცერტმაისტერი – **ლელა დაუშვილი**); **გიტარის** (**ნანი სამხარაძე**); **საესტრადო სიმღერების** (**მარინე სხირტლაძე**, კონცერტმაისტერი – კომპოზიტორი **ჯუმბერ ამანათაშვილი**); ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების (**ნინო სამუკაშვილი** და **ხათუნა ნიკვაშვილი**).

სკოლის წარმატებებში თავისი წვლილი შეაქვთ ბუღალტერ **ნინელი ტაბატაძეს**, მნეს – **მერი მაღრაძეს**, დამლაგებლებს – **ასია** და **ლიანა სარქისიანებს**, დურგალ-ელექტრიკოსს **მალხაზ გოლაშვილს**, დარაჯ – **გაგიკ სარგსიანს**.

პედაგოგთა კოლექტივს უნარიანად უძღვება ღირსების მედალოსანი, დირექტორის მოადგილე სასწავლო ადმინისტრირების დარგში ქალბატონი **მარინე ჭეიშვილი**.

ცხადია, სკოლის ასეთი თვალსაჩინო წარმატებების სულისჩამდგმელი მისი დირექტორი **ქალბატონი ნანა ჯოლიაა**, მაგრამ როგორი პიროვნება დგას სრულიად დამსახურებული წოდებებისა და ჯილდოების მიღმა?

შტრიხები პორტრეტისათვის: ჩემი სტუმრობისას ქალბატონი ნანა შეუძლოდ გახლდათ და სკოლის ნამდვილი მემატიანე – საქმისწარმოების კოორდინატორი, ფორტეპიანოს ჩინებული პედაგოგი ქალბატონი **ნებული ახმეტელაშვილი** მაკვალიანებდა. ბარე ათჯერ მაინც დარეკა ქალბატონმა ნანამ. ეს არ იყო ზედმეტი მეურვეობისა თუ ასევე ზედმეტად გამაღიზიანებლად ჩაძიება. ერთადერთი რამ აფორიაქებდა, არ ასვენებდა დირექტორს: არავინ გამოგვრჩენოდა, დამსახურებისამებრ მიგვეზღა...

ჰოდა, გვიკარნახა. კიდევ მოწინავე მოსწავლეები: **ანა გვირგვლიანი** (II), **სოფიო მაისურაძე** (III), **ანა ბოდოკია** (V), **თეკლა ბეგიშვილი** (VI), **გვანცა ბალაშვილი** (VI), **მარიამ ბეჟიაშვილი** (X) და კიდევ ბევრი გვყავსო.

გვთხოვა, აუცილებლად მოგვეხსენებინა თეორიული საგნების ყოფილი მასწავლებელი **ნადეჟდა ხურციძე**. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ქართული ხალხური სიმღერისა და მგალობლების ანსამბლს, ვინც ამდენი ჯილდო მოიპოვაო.

ქალბატონმა ნანამ 1974 წელს დაამთავრა კონსერვატორია ფორტეპიანოს კლასით და მას შემდეგ უდგას სათავეში ამ სკოლას (მანამდე სიღნაღის მუსიკის სკოლაში მუშაობდა პედაგოგად, სასწავლო ნაწილის გამგედ, დირექტორად). როგორც უდგას, ვგონებ, ცხადად წარმოჩნდა.

მაცხოვარი ასეც მოძღვრავს მომავალ მოციქულებს – ყოველი შრომა უნდა ანაზღაურდესო. ანაზღაურებაში, ცხადია, ღვაწლის დანახვაც და დაფასებაც იგულისხმება.და ხედავს მერია, სხვა ორგანიზაციები, კავშირები სკოლის ღვაწლს და აფასებს კიდეც. ქალბატონი ნანაც ხედავს და აფასებს სკოლის მთელი კოლექტივის მუშაობას.

დაბოლოს, ზემოთ რომ **გვანცა ფუტკარაძე** და **ასლან ჩიქოვანი** ვახსენე, გვანცამ კონსერვატორიის საფორტეპიანო განყოფილება დაამთავრა და მაგისტრატურისთვის ემზადება. ასლანი იმავე განყოფილებაზე სწავლობს; სკოლის კიდევ ერთმა აღზრდილმა **ვახტანგ მაღრაძემ** დაამთავრა კონსერვატორიის ვიოლინოს განყოფილება. და გახსოვთ ტრიო **„ბზიკები“**, ევროვიზია რომ გადარია? მისი წევრი **გიორგი შიოლაშვილიც** ამ სკოლელია და კონსერვატორიისათვის ემზადება.

ვუსურვოთ წარმატებები!

კონსტანტინე გურგენიძე

წარმატებებით „დახუნძლული“ ხელოვნების 21-ე სკოლა

ხედავს და აფასებს – ხედავენ და აფასებენ

„ლილე“ ლიდერია კერძო სკოლებს შორის

მთავარი მიზანი კონკურენტუნარიანი განათლების მიღებაა

კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა **„ლილე“** მუხიანის დასახლებაში, დუმბაძის გამზირზე მდებარეობს. ოთხსართულიანი, თანამედროვე სტანდარტების ლამაზი შენობა შორიდანვე თვალშისაცემია. არ მოგატყუებთ, თუ ვიტყვი, რომ აქ, რაღაც ახალი და განსაკუთრებულია, საოცარი სისუფთავე და ყველა პირობა ბავშვისთვის: უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი საკლასო ოთახები, სამლოცველო კუთხე, კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა (ხელმძღვანელი – **ნანა ჭუმბურიძე**), ექთნის კაბინეტი (**ვერიკო ბერიძე**), სათანადოდ აღჭურვილი ორი დარბაზი – სპორტული და ცეკვის, ასევე, ფეხბურთისა და კალათბურთის ღია მოედანი, სამზარეულო და სასადილო ოთახი და ყველა სართულზე საოცრად მოწესრიგებული სველი წერტილი.

სკოლა თავისი არსებობის 20 წელს ითვლის, თუმცა ახალ შენობაში მე-4 წელია რაც გადმოვიდნენ. დამფუძნებელი და დირექტორი ქალბატონი **თამარ ნათენაძე** უაღრესად გულისხმიერი მეგზური აღმოჩნდა. თითქმის თავისი ხელით ნაშენები სკოლის ყველა კუთხე-კუნჭული დამათვალიერებინა და ჩემს აღფრთოვანებას კეთილი ღიმილით პასუხობდა. დირექტორის ხელი ყველგან და ყველაფერში იგრძნობა. სკოლამ, რა თქმა უნდა, წარმატებით გაიარა აკრედიტაცია. ამჟამად აქ 170 ბავშვი სწავლობს დაწყებითი სწავლების (I-IV კლასი), საბაზო (VII-IX კლასი) და საშუალო (X-XII კლასი) საფეხურებზე. თითოეულ კლასში 15-16 მოსწავლეზე მეტი არ არის, წელს მე-12 კლასში 10 მოსწავლე ჰყავთ. სკოლის კურსდამთავრებულები რეპეტიტორების გარეშე, წარმატებით აგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში და ხშირად არიან დაფინანსებისა და გრანტის მფლობელები.

მოსწავლეები ჩართულები არიან შემოქმედებით მუშაობაში, მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადაში. **„კინგსის“**, **„ინტელექტისა“** და **„ევერესტის“** გამარჯვებულები არიან: IV კლასელები – **ანასტასია ხიჯაკაძე**, **კესო ჯიქურაძე**, **ლიზი ქვარცხავა**; III კლასელები – **გიგი მაღლაკელიძე**, **საბა ასაბაშვილი**, **სანდრო მაჭარაშვილი**, **ლუკა კაპანაძე**, **თორნიკე ბიჩინაშვილი**; II კლასელები: **ლოლიტა ლომთაძე**, **მარიამ კიკნაძე**, **ბარბარე ხიჯაკაძე**, **თეკლა ხიჯაკაძე**, **ანანო გოგიშვილი**, **დავით ლუარსაბიშვილი**, **ლიზი სვანიძე**; **გიორგი გუმბერიძე** (მე-7 კლასი); **ლუკა ჭუმბურიძე** და **ევა დარსალია** (მე-5 კლასი).

სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის რეჟიმი, კვებასთან ერთად. მშობელთა სურვილის გათვალისწინებით, ის ბავშვები რომლებიც 6 საათამდე რჩებიან, აქ სადილობენ და შუადღის დასვენების შემდეგ, მეორე ცვლის პედაგოგები მომდევნო დღის გაკვეთილების მომზადებაში ეხმარებიან. მეგობრული და სასიამოვნო გარემოდან მშობლებს შვილები უკვე ნასწავლი გაკვეთილებით მიჰყავთ და აღარც წიგნების ტარება სჭირდებათ.

სასწავლო პროცესი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული, **უახლესი მეთოდების** გამოყენებით მიმდინარეობს. ამ სქემაში აქტიურად არიან ჩართულები უფროსი პედაგოგები: **ნუნუ ბაღაშვილი** (ინგლისური ენა), **რუსუდან გაფრინდაშვილი** (მათემატიკა), **ეკატერინე გოჩიაშვილი** (ინგლისური ენა), **ლია ნაცვალაძე** (ინფორმატიკა), **ნანა ტატურაშვილი** (დაწყებითი კლასები), **ეთერ ტივაძე** (გეოგრაფია), **ინგა ყრუაშვილი** (ბიოლოგია), **სვეტლანა ჭიკაიძე** (მათემატიკა).

მოსწავლეთა ხარისხიან განათლებასა და ყველა დისციპლინის გაღრმავებულად სწავლებაზე ზრუნავენ პრაქტიკოსი პედაგოგები: **ივეტა არუთუნიანი** (რუსული ენა), **დარეჯან ბაინდურაშვილი** (სპორტი), **მაია ბეჟიტაშვილი** (ქართული ენა და ლიტერატურა), **ნინო ბერიაშვილი** (ხელოვნება), **ინგა ბურდული** (ფიზიკა), **ნუნუ კაპანაძე** (დაწყებითი კლასები), **ანნა კასპელაშვილი** (ხელოვნება), **ლალი ლონდარიძე** (დაწყებითი კლ.), **მანანა მაკარიძე** (ისტორია), **ლიანა მამადაშვილი** (ქიმია), **ეკატერინე ნადირაძე** (დაწყებითი კლასი), **ნელი პოღოსიანი** (რუსული ენა), **ფიქრია უშარიძე** (მუსიკა), **ეკატერინე ფეიქრიშვილი** (ქართული ენა და ლიტერატურა), **ქეთევან შოვნაძე** (ისტორია).

სკოლაში სისტემატურად იმართება კონფერენციები, ვიქტორინები, გამოფენები, შეხვედრები და ამ დროს, დირექტორს ყოველთვის გვერდში აქტიურად უდგანან დირექტორის მოადგილეები – **ეკატერინე ფეიქრიშვილი** და **ლია მამადაშვილი**. ასევე, ქალბატონი თამარის მარჯვენა ხელია საქმისმწარმოებელი **ნანიკო კბილაშვილი**.

მოსწავლეები დიდ ინტერესს იჩენენ სპორტის ისეთი სახეობის მიმართ, როგორიც არის **მეკლდეურობა** (ხელმძღვანელი – **დარეჯან ბაინდურაშვილი**), ასევე, **ტანვარჯიში** (ხელმძღვანელი – **ქეთევან ბაკურაძე**), ხატვის წრე (ხელმძღვანელი – **ნინო ბერიაშვილი**), სკოლასთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ **„ვარძიას“** ხელმძღვანელობს **ჯულ ნათენაძე**, რომელმაც ქალბატონ თამართან ერთად 1996 წელს დააფუძნა კერძო სკოლა **„ლილე 2“** და **მაია ქისტაური**.

იმის გარდა, რომ სკოლის შენობა გემოვნებით არის აშენებული, ფოიეში თვალშისაცემია თეთრი თაღები, ყვავილები, სხვადასხვა ნაკეთობები, კედლებზე ნახავთ კუთხეებს – **პალეონტოლოგია**, **თავისუფლება**, **ნორჩი არქეოლოგები**, **საალდგომო კუთხე**, **ქართველი მეფეების**, **მწერლებისა** და **პოეტების პორტრეტები**; **ჩერნიშევსკის**, **ალფონს დოდეს**, **ჟან ჟაკ რუსოს**, **ჯორდანო ბრუნოსა** და სხვათა გამონათქვამები.

პირველივე შეხვედრისთანავე მიხვდებით, რომ დირექტორი **თამარ ნათენაძე** ძალიან მშრომელი და თავის საქმეზე შეყვარებული ადამიანია. დიდი ძალისხმევის შედეგი კი სახეზეა. მე ამ სკოლას **„ზღაპრულ სკოლას“** ვუწოდებდი, სადაც ყველა მოსწავლეს სიამოვნებით გავუწევდი რეკომენდაციას. ისწავლო სკოლა **„ლილეში“** – ეს არის შენი წარმატებული მომავლის გარანტია.

ნათია გურგენიძე

სიახლე და მოწინავე გამოცდილება – ყველას!

ევროსტანდარტების მხარდამხარ

„ევროპული განათლების აკადემიის“ კონტრაქტორ საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ უნივერსიტეტსა და როვნოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ და საინჟინრო კოლეჯის სასწავლო პროცესში სასიამოვნო სიახლეა.

საქართველოს მთავრობასა და პარლამენტში სტუმრად მყოფმა უკრაინის სახალხო დეპუტატმა პარლამენტის პოლიტიკური პარტია **„ობედინენიე სამოპომოშჩ“**-ის ფრაქციის წევრმა, ფრაქციისა და პარლამენტის სპიკერების ერთ-ერთმა ლიდერმა ტელეკომუნიკაციების, ელექტრონული მმართველობის, IT კლასტერისა და IT განვითარების, ასევე მთლიანად უკრაინის განათლების კურატორმა, **რომან სემენუხამ** გამოთქვა სურვილი შეხვედროდა უკრაინის **ქ. როვნოს** საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებს. შეხვედრის მიზანი გახლდათ უკრაინისა და საქართველოს უნივერსიტეტების განვითარების, მისი პერსპექტივებისა და მოდელების განვითარების, ორმხრივი მეგობრობისა და თანამშრომლობის განხილვა; (ორმხრივი კონფერენციები, საპროექტო განხილვების სესიები, სტუდენტების გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა და უმაღლესი სკოლის განვითარების კონცეფციების ერთობლივი დამუშავება). შეხვედრა ორივე მხარისათვის ნაყოფიერად დასრულდა. ინტენსიურად გრძელდება ორმხრივი სამუშაოები აკადემიასა და უკრაინის სახალხო დეპუტატ **რომან სემენუხას** შორის.

2017-2018 სასწავლო წლისათვის ქ.ზუგდიდში, ქ.ბათუმში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემოსვანეთის მხარეში, კონკრეტულად, ამბროლაურში აკადემია ხსნის კონტრაქტორი უნივერსიტეტისა და კოლეჯის წარმომადგენლობებს.

თქვენი კარიერა ჩვენი აუდიტორიებიდან იწყება!!!

გახდი სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე!!!

გაიცემა საერთაშორისო, სახელმწიფო აღიარებული დიპლომი!!!

IV დონის აკრედიტაციის მქონე საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი 2017-2018 სასწავლო წელს აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე

ფინანსები, კრედიტები და საბანკო საქმე; მენეჯმენტი; მარკეტინგი; აღრიცხვა და აუდიტი; საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება; მეწარმეობა, სავაჭრო და საბირჟო საქმიანობა; ტურიზმი; სამართალმცოდნეობა; ფიზიკური რეაბილიტაცია; სპორტი; პროგრამული ინჟინერია; ვ კომპიუტერული მეცნიერებები და ინფორმაციული ტექნოლოგიები; ფსიქოლოგია; ჟურნალისტიკა; ინგლისური ენა; გერმანული ენა; ბიოლოგია; გეოგრაფია; სკოლამდელი აღზრდა; დაწყებითი განათლება; ისტორია.

სამაგისტრო პროგრამებზე

ფინანსები, კრედიტები და საბანკო საქმე; მენეჯმენტი; საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება; ტურიზმი; ფსიქოლოგია; სამართალმცოდნეობა; ჟურნალისტიკა; კომპიუტერული მეცნიერებები და ინფორმაციული ტექნოლოგიები; ფიზიკური რეაბილიტაცია; სპორტი; გეოგრაფია.

გამორჩეული უპირატესობები

➢ 2017 წლის 25 აგვისტომდე რეგისტრირებული აბიტურიენტები მიიღებენ 10%-იან თანადაფინანსებას;

➢ ოჯახის ერთზე მეტი წევრის ჩარიცხვის შემთხვევაში სწავლის გადასახადზე მიეცემათ შეღავათი თითოეულს 20-20%-ით;

➢ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით ადგილნაცვალ პირებზე იმოქმედებს 10%-იანი შეღავათი;

➢ ობლებსა და მზრუნველობამოკლებულ პირებზე იმოქმედებს 20%-იანი შეღავათი;

➢ წარჩინებულ სტუდენტებს საკონსულტაციო პერიოდისათვის დაენიშნებათ სტიპენდია 50-დან 100 ლარის ოდენობით;

➢ მობილობით გადმოსულ სტუდენტებს სწავლის საფასური შეუმცირდებათ 15%-ით;

➢ მეგუ-ში საბაკალავრო პროგრამის წარჩინებით კურსდამთავრებულ სტუდენტს სრულად დაუფინანსდება სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პარტნიორ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში;

➢ საბაკალავრო,სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა სემესტრულად მონაწილეობა მიიღონ და ისწავლონ ესპანეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის, აშშს წამყვან უნივერსიტეტებში.

როვნოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული და საინჟინრო კოლეჯი (РЕГИК)

აცხადებს მიღებას 2017-2018 სასწავლო წელს:

ა) აბიტურიენტებისათვის საბაზო ზოგადი განათლებით (9 კლასის ბაზაზე).

ბ) აბიტურიენტებისათვის სრული საშუალო განათლებით (12 კლასის კურსდამთავრებული, სკოლის, ლიცეუმის, გიმნაზიის).

➢ სკოლამდელი აღზრდა;
➢ დაწყებითი განათლება;
➢ ფიზიკური კულტურა და სპორტი;
➢ სამართალმცოდნეობაფინანსები;
➢ საბანკო საქმე და დაზღვევა;
➢ კომპიუტერული ინჟინერია
➢ პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია;
➢ სოციალური მუშაობა.

აღნიშნული კოლეჯის კურსდამთავრებულები ჩაირიცხებიან საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მესამე კურსზე მონათესავე სპეციალობის პირობით, სპეციალობის შეცვლის შემთხვევაში მეორე კურსზე.

ᲝᲩᲥᲐᲠᲔᲗ, ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ! ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘᲐ!

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Ქ.ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲔᲢᲠᲝ ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ (ᲛᲣᲮᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ), �რ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲡ 7.

592 92 55 92; www.eeacademy.ge

Facebook: ევროპული განათლების აკადემია

- **ზუგდიდი, მეუნარგიას ქ.№ 7 მეორე სართული, მობ: 595 33 50 38; 557 29 43 23**
- **ამბროლაური, ს. შარაბიძის ქ.№1, მობ: 558409897; 597013197.**
- **ბათუმის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით შეგიძლიათ დარეკოთ ამ ნომერზე: 592 925592.**

მასალა მოამზადა
ᲘᲠᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲜᲘᲐᲛ

მკითხველი ალბათ შეამჩნევდა: ბოლო ***დროს ცია ბორცვაძის*** *სახელი ხშირად არის ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ვინ არის იგი? ვინ და – ბრწყინვალე მასწავლებელი, საკუთარი ხმის პოეტი, ჩინებული ჟურნალისტი, უფრო ხმამაღლა თუ ვიტყვით, სამი მუზის მსახურია. დიახ, სამივე ეს დარგი ხელოვნების სფეროა და სამივეს მუზას, შთაგონება სჭირდება.* ***ცია ბორცვაძე*** *ამ სტრიქონების ავტორის აზრით, სამივე სფეროში თანაბრად ძლიერია.* ***პედაგოგიურ*** *და* ***ჟურნალისტურ*** *ოსტატობაში გამოცდა კარგახანია ფრიადზე აქვს ჩაბარებული.* ***პოეზიაში*** *კი – აი, ახლა დავაჭაშნიკოთ სამაჩაბლოელი პოეტის ლექსები! ავანსად მაინც ილიას სიტყვებს მოვიშველიებთ: „მისი ლექსი შვებით, ლხენით ხან მეჯლისში მოფრინდება, გულს ჩაგეკვრის, ლაღობს,ხარობს, გამღერებს და ამღერდება,* ***ხან ღონდება ნაზ ქალივით*** *უიმედო სიყვარულით...“*

გაზეთის პროფილიდან გამომდინარე, მწირია ჩვენი შესაძლებლობა ციას პოეზიის ვრცლად წარსადგენად (უცხოელებზე გაგიჟებულნო, იხმარეთ „საპრეზენტაციოდ“). ამიტომ რამდენიმე ლექსი შევარჩიეთ. მერე რა? რაფიელ ერისთავი დიდად პოპულარული იყო ერთი პატრიოტული ლექსითაც კი. ჩვენდა სავალალოდ, მისი სწავლება ქართველთა ავისმოსურნეებმა ამოიღეს სასკოლო პროგრამებიდან.

გაზაფხულია!.. ჩიტუნების ისმის ჭიკჭიკი

გაზაფხულია! ჩიტუნების ისმის ჭიკჭიკი,
ჩემს აივანზე იკეთებენ მერცხლები ბუდეს,
ახალგაზრდები ჩაივლიან ლაღი კისკისით,
მე კი წარსულის გახსენებით თუ ვბოვებ ნუგეშს.
მეც მესხა ფრთები სივრცეების გადასალახად,
მეც შევუბყრივარ ყმაწვილქალის ვნებას და ღელვას,
მახებივრებდა ერთადერთ შვილს მშობელი დედა
და მაყოლებდნენ ვაჟკაცები დათაფლულ მზერას.
მერე განაზდა, გაიცრიცა ზეცის ცარგვალი,
მრავალმა განცდამ დამიბინდა ბედის გზა-კვალი,
ქალურ ოცნებას შემოაცვდა კოხტა სამოსი,
სხვები ხარობენ, მე კი მათ გულდს რთგორ ჩამთვრჩი!
თითქოს შემოკლდა ნათელი დღე, მალე დაბინდდა,
რად არ ისვენებ, აბეზარო გულო, რა გინდა?
აფრაბშვებულ ხომალდსა ჰგავს ჩემი განცდები,
რითმებს მთვუხმობ, ნოსტალგიას ასე ავცდები:

გენაცვალეთ!

(ვუძღვნი ჩემს მოსწავლეებს)

მე მაშინ მთვალ, როცა მთებში დადნება თოვლი,
ვარდობისთვე რომ შემოაღებს დიმილით კარებს,
როცა აისი მობრძანდება ჩვეული თრთოლვით
და თავს დაუხრის მოწიწებით მთაწმინდის მთვარეს.
მთვალ, მთგართმევთ გაზაფხულის ფერთა სიუხვეს,
ყვავილთა ფურცლებს დაგაბერტყავთ მხრებზე სათუთად,
მთგეფერებით ჭკვიანებს და ცოტა ვდუუტებს;
გენაცვალეთ! – ამ სიყვარულს ფიცი რად უნდა?

პედაგოგის პოეტური პალიტრა

სამი მუზის მსახური

გამთვბრწყინდები შეგირდების თვალთა ციმციმში,
მათი ღიმილით გავიხარებ დაღლილი მზხავრი
და ავმაღლდები ქალ-ვაჟების სიცილ-კისკისში,
გზას გამინათებს მთნარნარე სხივები მთვარის.
გზაფხულდბი, მაისები არ დაილევა,
არ წაერთმევათ რთგთრც ფერი ტურფა ყვავილებს,
უწყვეტი ვდაჭვი წუთისოფლის არ გაილევა
და... რა გამოლევს წელთა ცვენას, მრავალნაირებს.
მე მაშინ მთვალ, როცა მთებში დადნება თოვლი,
მაისი როცა შემოაღებს ვარდებით კარებს,
ვეამბთრები თქვენს ნატერფალს სათუთი გრძნობით
და მუხლს მთვუყრი სამრეკლოსთან წრიალა ზარებს!

მადლობა შენ და აპრილს

ვუძღვნი აპრილში დაბადებულ ჩემს მეგობრებს:
ზეინაბ ჭიჭიკთშვილს
ცაური გველესიანს
ნაზი სიმონიშვილს

მთგონებების კთრიანტელი
ისევ აბთრგდა სულში;
გაზაფხულია! ფერი ვიცვალე,
მთხუცი ვიყავ გუშინ.
ატმის ყვავილებს ბარდნის და ბარდნის,
აპრილს ვიხუტებ გულში,
შენკენ ვისწრაფვი ხელხვავიანი,
მომაქვს სურნელი ნუშის.
გაშრისხალიან ყაყაჩოების
ანდამატი გაქვს თითქოს,
ისევ მიყვარხარ თავდავიწყებით,
მომაქვს ზაფხულის სითბო.
ეს მეგობრობა გაუხუნარი
იქ დაწერილა, ზევთ,
ზამთარს გავატან ჩემს სიღარიბეს,
მე მდიდარი ვარ შენით.
შენთვის დაკრიფე ეს გვირილები,
ყმაწვილქალივით ვღელავ,
ახლა მეწვია ყრმობის განცდები,
მთხუცი ვიყავ ძველად.
თბილად იღვრება მთგონებები,
ოცნებას წეწავს ქარი,
ისევ მთგიძღვნი ლურჯგთვალა იებს,
მთგეფერები ამით.
შენკენ ვისწრაფვი, მომწყურებია
გულით გადაყრა დარდის,
ბედნიერი ვარ ამ სიყვარულით,
მადლობა შენ და აპრილს!
მთგონებები, ნაირფერები,
ავგანყებულან გულში,
გაზაფხულია! ფერი ვიცვალე,
მთხუცი ვიყავ გუშინ.

უანრეკლესი სიყვარულია!

არაფერითი, არ თქმულა ქვეყნად,
ქართულ ლექსს რომ არ გადაეხარშოს,
არანაირი ფრაზა არ ბუდობს,
ქართველ პოეტებს არ დაეხარგვთთ.
დაგეძებ რითმებს, მსურს ჩავწვდე გრძნობებს,
სტრიქონმა სტრიქონს შემოუბანოს,
ხმა მივაწვდინთ მტერს და მოყვარეს,
კეთილს და ბოროტს, კარგს და უგვანოს.
უბერველესი სიყვარულია:
ჩვენი გამჩენის, დიადი უფლის!
შემდეგ მამულის, მშობლის, და-ძმების,
ენის – მეტყველთა ურთიერთობის,
სატრფოს, მეგობრის, შვილის, მეუღლის,
ბევრი ნათქვამის, ზოგიც უთქმელის,
ან შეწყვეტილი წინაბრის სუნთქვის,
ნორჩი თაობის, ცელქის და შმაგის.
გზის გასაყართან ვდგავარ თავდახრით,
ნანახს და განცდილს ველაპაპაცები,
დრო კი არ იითმენს, მიჰქრის და მივსდევ,
წინ მიმიძღვიან მადლიც, ცოდვებიც.

მთაქვს ორიგინალური თვალსაზრისი

ეს სათაური მიკარნახა მისმა წიგნმა **„ნუ შეწყვეტ სიმღერას“**. ვინ არის ამ წიგნის ავტორი? დიდებული საბავშვო პოეტი **ნაირა ნიჟარაძე**. იგი მეოცე საუკუნიდან მოდის და მოაქვს, რა მოაქვს? მდიდარი ტრადიციები, ხალისი, პოეტური აღმაფრენა და ოპტიმიზმი.

მაშინ საბავშვო მწერლობა მძლავრად ხმიანობდა. შევნატრით იმ დროს, როცა საბავშვო მწერლობაში ქუხდნენ: **გივი ჭიჭინაძე, ნოდარ შამანაძე, გიორგი წერეთელი, ლიდა სტვილია, ნოდარ დუმბაძე, ალექსი ბოლქვაძე**, ...როცა მღეროდნენ ნიკოლოზ ჩაჩავას „კომში, კომში კომარას“, როცა საბავშვო მწერალთა სახლში სამწერლო ცხოვრება ჩქეფდა, როცა გამოდიოდა საყმაწვილო ლიტერატურეს მოამბე“, დამწყებ მწერალთა დამაკვალიანებელი ალმანახი **„ლილე“**, რომლის ბუდიდან აფრენილი ბევრი პოეტი, მათ შორის **ნაირა ნიჟარაძე** პოეზიის ლაჟვარდებში ლაღად დაქრის.

მაგრამ, ვაიმე, პოლიტიკურ-სოციალური ჯახების გამო დღეს საბავშვო მწერლობას ძალიან უჭირს, საღათას ძილს მისცემია, გამოღვიძება უნდა. ჟურნალ „დილას“, „ათინათს“ და ორიოდე კინკილა გაზეთს ამ პრობლემის დაძლევა უჭირს.

ნაირა ნიჟარაძე ოპტიმისტი, მებრძოლი პოეტია. მისდევს მუხრანის მცნებას: „ვერ დამადუმონ, თუნდაც ჩამქოლონ“: ბევრს ცდილობს, საბავშვო მწერლობა საღათას ძილს გამოსტაცოს, დაუბრუნოს მას ძველი დიდება და ცინცხალი პათოსი.

სწორედ ამისი დასტურია შარშანწინ გამოსული მისი პოეზიის თაიგული **„ნუ შეწყვეტ სიმღერას“**. ჩვენი გაზეთის პროფილი და ფორმატი არ გვაძლევს გასაქანს, რომ ვრცლად განვიხილოთ ეს წიგნი, როგორც უცხოელებზე გაგიჟებულნი წარა-მარა გაიძახიან, მოვაწყოთ მისი პრეზენტაცია. ამიტომ ჩვენი გემოვნებით გამორჩეულ რამდენიმე ლექსს დავასახელებთ: **„მამა“, „ნონა ძიაპშიპას ნაამბობი“, შავზღვაზე“, „უერთმანეთოდ“, „არასოდეს ჩაიქნიო ხელი“, „სოფელი“, „ბაღში“,**

„უხილავია სიყვარული“.

„ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს – მღვდლის ცოლიო“. მეც წარმოგიდგენთ ჩემს მოწონებულ ორ ლექსს (თუმცა ყველა მომწონს). მანამდე კიდევ მაქვს სათქმელი. კომპიუტერის კლანჭებს მინდა გამოვტაცო წიგნის კითხვას გადაჩვეული მკითხველი, ე. ი. წიგნი ხელში ავაღებინო. ეს კი **ნაირა ნიჟარაძის** ამ წიგნს შეუძლია.

მკითხველო, გირჩევთ ამ პოეტური თაიგულის გულდასმით წაკითხვა-გათავისებას. მოგებულიც დარჩებით და მოხიბლულიც.

ბორის მიშველაძე

არასოდეს ჩაიქნიო ხელი!

არასოდეს ჩაიქნიო ხელი,
თუნდაც მოგხვდეს ალესილი ცელი,
ნუ იქნები მარტოსული სულაც,
მოდი, ღვინის გამოცალე კულა.
უფსკრულის პირს როცა დგახარ მაშინ,
არ შეშინდე, ღმერთი გიმზერს ცაში,
გადარჩები და სწორ გზაზე გახვალ,
კაცს იმედი მუდამ გვერდით ახლავს.
თავს რად იკლავ, ვერ გაჩნდები ახლად,
საიქიოს შენ ისედაც წახვალ,
არასოდეს ჩაიქნიო ხელი,
კაცი ხარ და სიყვარული გელის!

ნუ გამიწყრები!

ნუ გამიწყრები,
თუ ვიმალები,
ჩვენს შორის ქრიან
ავი ქორები.
გამოანათე
თვალი სანათი,
შემომახურე
თბილი ხალათი.
უშენოდ მცივა
და მეშინია,
იქნებ საღათას
დიდი ძილია.
მე შენი დიდი
ხელი მწყურია.
გრძნობა კი
გულში შემალულია.

ნაირა ნიჟარაძე

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 9 (4548)
26 აპრილი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009